

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს მარტექ სოლუშენს

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პილიტიკის მიმოხილვა
4. გაცემული ავანსები
5. ფული და ფულის ექვივალენტები
6. საკუთარი კაპიტალი
7. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
8. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება
9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები
10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან
11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა პ	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		-	-
გაცემული ავანსები	4	104,135	-
საგადასახადო აქტივი		-	3,491
დებიტორული დავალიანება		24,997	11,974
ფული და ფულის ექვივალენტები	5	1,029,752	1,233,191
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,158,884	1,248,656
სულ აქტივები		1,158,884	1,248,656
კაპიტალი	6		
განთავსებული კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		1,107,716	1,248,329
სულ კაპიტალი		1,107,716	1,248,329
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		5,988	-
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		39,349	327
საგადასახადო ვალდებულებები		5,832	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		51,169	327
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,158,884	1,248,656

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მარტექ სოლუშენს"-ის სახელით 2025 წლის 18 სექტემბერი

შპს "მარტექ სოლუშენს"-ის დირექტორი იესე აბაშმადე

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
	ა		
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	7	2,893,423	2,500,059
რეალიზებული მომსახურების			
თვითღირებულება	8	(2,029,552)	(1,098,351)
საერთო მოგება		863,871	1,401,708
სხვა საოპერაციო ხარჯები			
ხელფასის ხარჯი		(118,058)	(111,257)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	9	(331,607)	(97,024)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი		(449,665)	(208,281)
არასაოპერაციო შემოსავალი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება		145,481	84,996
სულ არასაოპერაციო შემოსავალი		145,481	84,996
არასაოპერაციო ხარჯი			
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(78,249)	(75,266)
სხვა არასაოპერაციო ზარალი		-	-
სულ არასაოპერაციო ზარალი		(78,249)	(75,266)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		481,440	1,203,157
მოგების გადასახადის ხარჯი		(93,308)	(86,710)
წლის მოგება (ზარალი)		388,132	1,116,447

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023	-	961,263	961,263
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	(829,361)	(829,361)
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების	-	(20)	(20)
გავლენა	-		
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	1,116,447	1,116,447
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	1,248,329	1,248,329
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	(528,745)	(528,745)
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	388,132	388,132
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	1,107,716	1,107,716

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მარტექ სოლუშენს (შემდგომში «კომპანია») დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (ს/ნ 405519648).

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია - საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი II, კვარტალი IV, კორპუსი N2, ფართი N76

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მარკეტინგი ინტერნეტის მეშვეობით.

კომპანია დაფუძნდა 2022 წლის 29 მარტს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან: იური იარჭუკ (3121285A001PB7, MP4691718, ბელარუსი) - 50% და დიანის იარჭუკ (3291091A000PB1, MP3864385; PD0274370, ბელარუსი) - 50%. კომპანიას მართავს დირექტორი იესე აბაშმაძე - საქართველოს მოქალაქე.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პილიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2023 1 აშშ დოლარი= 2.6894 ლარი.

31/12/2023 1 ევრო= 2.9753 ლარი.

31/12/2024 1 აშშ დოლარი= 2.8068 ლარი.

31/12/2024 1 ევრო= 2.9306 ლარი.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავიჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების გაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ პირებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი და მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირების, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელების, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის, კომუნალურ, იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. გაცემული ავანსები

კომპანიას გაცემული აქვს ავანსები არარეზიდენტი საწარმოსათვის. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაცემული ავანსის ნაშთი შეადგენს 104 135 ლარს.

5. ფული და ფულის ექვივალენტი

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ნაშთად დაფიქსირებული თანხა არის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფული უცხოურ ვალუტაში

6. საკუთარი კაპიტალი

(ა) განთავსებული კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში.

7. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მისი ძირითადი საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი (მარკეტინგი ინტერნეტის მეშვეობით). 2024 წელს კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 893 423 ლარი, ხოლო 2023 წელს 2 500 059 ლარი.

8. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ასახულია კომპანიის მიერ პროექტების ფარგლებში შეძენილი მომსახურება. მომსახურების შეძენა ხდება როგორც არარეზიდენტი, ისე რეზიდენტი პირებისაგან.

9. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯებში ასახულია საკონსულტაციო ხარჯები და ბანკის მომსახურების ხარჯები

ლარი	2024 წელი	2023 წელი
ბანკის მომსახურების ხარჯები	15,684	9,300
საკონსულტაციო ხარჯები	315,827	86,731
სხვა ხარჯები	96	993
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	331,607	97,024

10. ოპერაციები და ნაშთები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდში ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან არ ფიქსირდება.
მენეჯმენტისათვის ხელფასის და სარგებლის სახით განაცემები არ ფიქსირდება.

11. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ ჰქონია მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.